გიგი თევზაძე

Apologia Chubinashvilis

ზურაბ კიკნაძის წერილი "Audiatur et altera pars" (ლათ. „მოსმენილ იქნას მეორე მხარეც"), ვფიქრობ, წერტილს უსვამს ოცდაათწლიან კამათს, რომელიც, ერთი მხრივ, ზურაბ კიკნაძის და აწ განსვენებული თენგიზ მირზაშვილის, ხოლო, მეორე მხრივ, გიორგი ჩუბინაშვილის მოწაფეებს შორის მიდიოდა. კამათის არსი მდგომარეობს შემდეგში: ჩუბინაშვილის თეორიის მიხედვით, ქართული ქრისტიანული არქიტექტურა არის თვითმყოფადი და ქართული გლეხური საცხოვრებლიდან, ძირითადად კი დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სახლის იდეიდან იღებს სათავეს. კიკნაძე/მირზაშვილი 1983 წლიდან ამტკიცებენ, რომ ქართული ქრისტიანული არქიტექტურა ემორჩილება ბიზანტიურ/ქრისტიანული არქიტექტურის წესებს. ყველა გადახრა თუ გადახვევა, რაც არსებობს, ჯდება ამ კანონში და ძეგლის არქიტექტორების ინდივიდუალიზმის გამოხატვაა და არა „ქართველი ხალხის ფსიქოლოგიის" მანიფესტაცია. დაწვრილებით შეგიძლიათ გაეცნოთ ტექსტს, რომელიც ძალიან კარგი, გასაგები ენით არის დაწერილი და არა მარტო საკითხის გარშემო მსჯელობს ამომწურავად, არამედ, საბჭოთა კავშირის შესახებაც გვიყვება, სადაც დაწესებული აზრის საწინააღმდეგო მსჯელობა მკრეხელობად და ერის ღალატად აღიქმებოდა.

ის, რომ საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც აღმოსავლეთის და დასავლეთის სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა, სახელმწიფო არქიტექტურა, მით უმეტეს ქრისტიანული, ვერ განვითარდებოდა ქრისტიანული სამყაროსაგან მოწყვეტით და „თვითმყოფადად", ცხადია. მაგრამ არ მგონია, რომ ეს არ იყო ცხადი წინა საუკუნის დასაწყისში (მაგ. Architecture Classic and Early Christian, by T. Roger Smith and John Slater. London, 1882). მართალია, ამ, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მიერ გამოცემულ წიგნში ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ კარგად არის განხილული ქრისტიანული არქიტექტურის კანონი. რა თქმა უნდა, ეს წიგნი არ იყო ერთადერთი, რომელიც ამ თემას ეძღვნებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს წიგნი არასპეციალისტებისთვისაა. თავის წერილში

ზურაბ კიკნაძე ჩუბინაშვილის თეორიას ფსიქოლოგიზმს უწოდებს და ამას აბრალებს ჩუბინაშვილის – ჯერ კიდევ გერმანიაში სწავლისას – ვილჰელმ ვუნდტის (ხალხთა/ერთა ფსიქოლოგიის შესახებ პირველი თეორიის ავტორი) ფსიქოლოგიით გატაცებას. ცხადია, ამავე დროს, ჩუბინაშვილს უნდა სცოდნოდა იმ მიდგომის შესახებ, რომელიც კაცობრიობის ისტორიის, განსაკუთრებით კი არტეფაქტების წარმოშობას უძებნიდა ფსიქოლოგიურ ახსნას. ამის დამადასტურებელი ფაქტები მოჰყავს თავის წერილში ზურაბ კიკნაძეს. მაგრამ თავად ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს, რომ იმ დროს, თუკი იყო რაიმე მსჯელობა არქიტექტურის შესახებ ფსიქოლოგიური მიდგომის გამოყენებით, ის არ სცდებოდა არქიტექტურულ ნაწარმოებში ინდივიდუალური, პერსონალური კვალის ძებნას.

ამიტომ, ვფიქრობ, რომ გიორგი ჩუბინაშვილის თეორიის საფუძველი უფრო იმ გარემოში უნდა ვეძებოთ, სადაც მას საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მოუწია ცხოვრება: 1923 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ყველას და მათ შორის ქართველი მეცნიერების წინაშეც დადგა თვითგადარჩენის პრობლემა. რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში ე.წ. „ამოსუნთქვის“ პერიოდები არ იყო: რუსეთში ნეპის („ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“) პარალელურად საქართველოსა და უკრაინაში მძიმე რეპრესიები ხორციელდებოდა. რეპრესიების თავიდან ასაცილებლად და ნორმალური პროფესიული გარემოს შესანარჩუნებლად ქართველ მეცნიერებს უნდა გაეკეთებინათ ისეთი რამ, რაც მათ ერთსა და იმავე დროს ააცილებდა „ხელისუფლების მტრის“ ან „ბურჟუაზიული გადმონაშთის“ სასიკვდილო დამღას და თან მისცემდა საშუალებას, ემუშავათ სასურველი მიმართულებით.

საბჭოთა კავშირის იდეოლოგია, გარდა პროლეტარიატის დიქტატურისა, საბჭოთა კავშირის ავტონომიურობის, განსაკუთრებულობის და ავტოქტონურობის დადგენის მიმართულებითაც მუშაობდა. გარდა იმისა, რომ იყო სერიოზული მცდელობები, შეექმნათ საბჭოთა ერი და საბჭოთა ნაციონალიზმი, როგორც ყველა ნაციონალიზმს სჩვევია, ხდებოდა ისტორიის გადაწერა არა მარტო იმ მიმართულებით, რომ ყველა დიდი აღმოჩენა რუსებს მიეწერებოდა (რადიო, ორთქმავალი, თვითმფრინავი, ტელეფონი და ა.შ.). შეიქმნა თეორია, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა კავშირი მასში შემავალი ხალხების ისტორიის ლოგიკური გაგრძელება იყო. ამავე იდეოლოგიის ნაწილი იყო მსჯელობა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები, თავისი ისტორიის მანძილზე, მაქსიმალურად ავტონომიურად ვითარდებოდნენ, არსაიდან არ მოსულან, ყოველთვის ამ მიწაზე სახლობდნენ და აღწევდნენ უფრო მეტს, ვიდრე ევროპელები ან ამერიკელები. ცხადია, ეს თეორია პრიმიტიულია,

მაგრამ კარგი სქემაა ისტორიის სახელმძღვანელოების დასაწერად და ბავშვების, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, საბჭოთა სკოლებში მიეღოთ განათლება (სხვა სკოლა არც იყო), ნამდვილ საბჭოთა ადამიანებად გამოსაზრდელად.

როგორც ჩანს, ქართველ მეცნიერთა ნაწილმა თვითგადარჩენისათვის გადაწყვიტა, ამ თეორიის მხარდაჭერის გზით ევლო: დაემტკიცებინათ ქართველი ხალხის აღმატებულობა/განსაკუთრებულობა და მისი გამორჩეული ადგილი მსოფლიო ისტორიაში. ისინი ალბათ ფიქრობდნენ, რომ ქართველი ხალხის ექსკლუზიურობა/ავტოქტონურობის დამტკიცება და ამ გზით საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულობის შესახებ მსჯელობაში წვლილის შეტანა მათ საიმედოდ დაიცავდა რეპრესიებისაგან და მუშაობის ნორმალურ პირობებს შეუქმნიდა.

ვფიქრობ, ამ პროცესის ნაწილია შალვა ნუცუბიძის შექმნილი აღმოსავლური რენესანსის თეორია, რომელიც ამტკიცებდა, რომ რენესანსი საქართველოში უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ევროპაში და რომ ქართველებს უფრო ადრე ჰყავდათ რენესანსული, ჰუმანისტური ფილოსოფიის გამტარებელი შოთა რუსთაველი, ვიდრე ევროპელებს დანტე; კორნელი კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორია, რომლის ნაწილიც, იმდროინდელი და თანამედროვე კანონის საწინააღმდეგოდ, ჰაგიოგრაფიული თხზულებებია და შესაბამისად, ქართული ლიტერატურის ისტორია მე-5 საუკუნიდან იწყება, უფრო ადრე, ვიდრე ევროპული ქვეყნების ლიტერატურების ისტორია. ნიკო ბერძენიშვილის და სიმონ ჯანაშიას საქართველოს ისტორია, რომელშიც არაფერია ნათქვამი სხვა ქვეყნებთან სასიცოცხლოდ აუცილებელ კავშირებზე და რომლიდანაც საერთოდ ამოგდებულია შავი ზღვის ფაქტორი და ზღვის, როგორც ევროპასთან დამაკავშირებელი გზის უზარმაზარი როლი. მაგალითების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება და მათი არეალი მხოლოდ ჰუმანიტარული მეცნიერებებით არ შემოიფარგლება.